არასრული რევანში

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 9 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) _ “არარატი” (ერევანი) _ 2:1 (1:1).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, მაჩაიძე (ილიადი), პეტრიაშვილი, მჭედლიშვილი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

“არარატი”: დემირჩიანი, ავანესოვი, არუთინოვი, კოვალენკო, მესროპიანი, მელქონიანი (გევორქიანი), ბონდარენკო, პეტროსიანი, იშტოიანი, ზანაზანიანი, კაზარიანი.

მსაჯი: ბ. სტრელეცკი (დონეცკი).

დუბლიორები _ 5:1 “დინამოს” სასარგებლოდ.

რა მნიშვნელობა ჰქონდა გათამაშების ამ ბოლო მატჩს თბილისელთათვის? პრაქტიკულად _ არავითარი. IV ადგილი ჩემპიონატში მათ უკვე 5 ნოემბრის ტურის შემდეგ ჰქონდათ განაღდებული, საპრიზო სამეულში კი ყველა ადგილი ადრევე დაჯავშნეს მოსკოვის გუნდებმა. ამდენად, განვლილ შეხვედრაში ბრძოლის სტიმული “არარატს” მეტი უნდა ჰქონოდა, ვინაიდან მოგების შემთხვევაში იგი რამდენიმე საფეხურით მაღლა ინაცვლებდა გათამაშების ცხრილში.

მაგრამ ესაა წმინდა სატურნირო ამბები, გადაანგარიშებანი ქულებზე და ისინი ხშირად მეორე პლანზე ინაცვლებენ, როცა საქმე პრინციპული ხასიათის შეხვედრებზე მიდგება ხოლმე. აი, ასეთი პრინციპული ხასიათისაა მატჩები თბილისის “დინამოსა” და “არარატს” შორის. რა თქმა უნდა, ერევნელთა საერთო კლასი და მიღწევები გაცილებით ჩამორჩება დინამოელებისას, საკავშირო ჩემპიონატებში შეხვედრათა ბალანსიც ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ მეტყველებს, მაგრამ “არარატი” მუდამ საგანგებოდ ცდილობს კარგად ეთამაშოს თბილისის “დინამოს” და არ ჩამორჩეს თავის სახელგანთქმულ მეზობელს. ამიტომაა ასეთი კონტრასტული ანგარიშები მათს შეხვედრებში _ 5:1 და 4:7, 3:0 და 0:5... საკმარისია გავიხსენოთ პირველი წრის მატჩი ერევანში, როცა მასპინძლებმა არნახული მობილიზებით ითამაშეს, სტუმრებმა კი ვერ გამოიჩინეს სათანადო საბრძოლო თვისებები. ფეხბურთში ხშირად ვხვდებით ასეთ “პრინციპულ” წყვილებს...

მატჩის დასაწყისმა საიმედო არაფერი დაუტოვა ერევნელებს. ბურთის პირველივე გათამაშების შემდეგ ასათიანის ძნელი ბურთის მოგერიება მოუხდა დემირჩიანს, მე-6 წუთზე კი მჭედლიშვილმა საკმაოდ შორიდან დაარტყა მარჯვენა დაბალ კუთხეში და მეკარემ განძრევაც ვერ მოასწრო _ 1:0.

თამაში მერეც “არარატის” კართან მიმდინარეობდა, გ. ნოდიას, მეტრეველის, ასათიანის დარტყმები სულ მცირე მანძილით ხვდებოდა მიზანს, დემირჩიანმა ძლივს მიუსწრო მაჩაიძის მიერ ოციოდე მეტრის მანძილიდან საუცხოოდ დარტყმულ ბურთს, იერიშებში სისტემატურად მონაწილეობდნენ ძოძუაშვილი, ხურცილავა...

თბილისელთა შტურმს და საგოლე მომენტებს ერევნელთა კართან ბოლო არ უჩანდა, წუთი-წუთზე უნდა გაზრდილიყო ანგარიში და სრულიად მოულოდნელად პირიქით მოხდა. 34-ე წუთზე მარცხენა ფრთაზე გავიდა კაზარიანი, მიაწოდა ცენტრში, იქ ადგილზე არ აღმოჩნდნენ ჩვენი გუნდის სტოპერები, ურუშაძე უდროოდ გამოვიდა წინ და ზანაზანიანმა თავით გაგზავნა ბურთი ცარიელ კარში _ 1:1.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი კაზუსი საკმაოდ ხშირად ხდება თბილისის “დინამოს” გამოსვლებში. თამაშს იგი წარმართავს აშკარა, თითქმის სრული უპირატესობით, მეტოქეთა კართან ქმნის უამრავ სახიფათო მომენტს და მათგან კი მხოლოდ მინიმალურ სარგებლობას იღებს. მაგრამ საკმარისია მეტოქის რამდენიმე საპასუხო კონტრშეტევა და ყველაფერი წყალში იყრება. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა არარატელებს იმდენი საგოლე მომენტი რომ ჰქონოდათ, რამდენიც დინამოელებს ჰქონდათ...

კიდევ უფრო დიდი უპირატესობით თამაშობდნენ თბილისელები მეორე ტაიმში. ვინ მოთვლის, რამდენი სახიფათო მომენტი შეიქმნა “არარატის” კართან, მაგრამ შედეგი არ ჩანდა. დინამოელები, როგორც წესი, ინდივიდუალური გარღვევებით მოქმედებდნენ, ერთი-ერთზე ცდილობდნენ მიზნის მიღწევას, ეს კი ძნელი იყო ერევნელთა მასირებული დაცვის პირობებში.

ბოლოს, როგორც იქნა, გუნდს მიეცა დაწინაურების საშუალება. 67-ე წუთზე “არარატის” საჯარიმო მოედანზე უხეშად მოცელეს გარღვევაზე გასული ძოძუაშვილი და სტრელეცკიმ პენალტი დანიშნა. 11-მეტრიანი ზუსტად დაარტყა ილიადიმ.

რევანში შედგა, მაგრამ არასრული. როცა ასეთი უპირატესობა გაქვს, ვალდებული ხარ უფრო დამარწმუნებლად, უფრო დამაჯერებელი ანგარიშით გაიმარჯვო.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 11 ნოემბერი, 1970 წ.